საქართველოს მწვანეთა მოძრაობა
დედამიწის მეგობრები – საქართველო

გარემო და საზოგადოება

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის პერიოდული გამოცემა N 15 (55) 2019 წელი

შესავალი

დღეს, ვაღიარებთ, რა კლიმატის გლობალური ცვლილების პროცესებს, როგორც 21-ე საუკუნის ერთერთ სერიოზულ გარემოსდაცვით პრობლემას, ვთანხმდებით იმაზე, რომ მიმდინარე კლიმატის ცვლლილება თანამედროვე მსოფლიოს უდიდესი გამოწვევაა, რომელიც მსოფლიო ლიდერების მხრიდან მოითხოვს დროული, ეფექტური და თანმიმდევრული საადაპტაციო- შემარბილებელი ღონისძიებების გატარებას, რომელიც არ დააზიანებს გარემოს და საფრთხეს არ შეუქმნის მომავალი თაობების სიცოცხლეს!!!

არსებული კლიმატის გლობალური ცვლილების შედეგები კვლავ დიდხანს განაგრძობს ზიანის მოყენებას თუ არ მოხდება მისი შეჩერება, რისთვისაც უდიდესი ძალისხმევაა საჭირო მსოფლიო მასშტაბით.

კაცობრიობის ისტორიაში გლობალური კლიმატის ცვლილებების სხვადასხვა პერიოდი გამოიყოფა, თანამედროვე კლიმატის ცვლილებას პირდაპირ უკავშირებენ ადამიანის საწარმოო საქმიანობას და ინდუსტრიალიზაციას.

მიმდინარე კლიმატის ცვლილება განსაკუთრებით წარმოჩნდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა შესამჩნევი გახდა მსოფლიოში საშუალო წლიური ტემპერატურის მკვეთრი ზრდა, გახშირდა სხვადასხვა სახის ბუნებრივი კატასტროფები და ა.შ...

კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ დაგეგმილი ღონისძიებების გატარებას, აქვს როგორც გლობალური, ასევე ლოკალური ხასიათი გამომდინარე დათბობის პროცესის გლობალურობიდან და მისი შედეგების კონკრეტული გამოვლინებების ლოკალური სპეციფიურობიდან. შეიძლება ითქვას, რომ სათბურის გაზების შემცირებას (მითიგაცია) უფრო გლობალური მნიშვნელობა აქვს, ხოლო ადაპტაციას - უფრო ლოკალური.

მოკლედ ისტორიიდან...

კლიმატის ცვლილება, როგორც მსოფლიო საზოგადოების წინაშე არსებული სერიოზული პრობლემა ჯერ კიდევ, 1979 წელს კლიმატისადმი მიძღვნილმა პირველმა მსოფლიო კონფერენციაზე იქნა აღიარებული. მას შემდეგ გამოიცა არაერთი დეკლარაცია, მოწოდებით მსოფლიოს მთავრობებისადმი გაეთვალისწინებინათ და თავიდან აეცილებინდათ მოსალოდნელი კლიმატის ცვლილება. იმართებოდა მთელი რიგი სამთავრო-ბათაშორისი შეხვედრები, რომელიც კონკტერულად ეხებოდა კლიმატის ცვლილების იმ დრიოსთვის არსებულ პორცესებს. 1990 წელს, კლიმატის ცვლილების ექსპერტთა საბჭომ გამოსცა პირველი შეფასებითი ანგარიში. 1992 წელს, კი მიღებულ იქნა კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 1994 წელს და მას იმ დროისთვის ხელი მოაწერა 154 ქვეყანამ. კონვენციის თანახმად, უნდა მიღწეულიყო ატმოსფეროში „სათბურის გაზების“ კონცენტრაციის სტაბილიზაციის დონე, რომელიც არ გამოიწვევდა საშიშ ანტროპოგენურ ზემოქმედებას. კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის უმაღლესი ორგანოა მხარეთა კონფერენცია (COP- Conference of Parties), რომელშიც წარმოდგენილია კონვენციის ყველა ხელმომწერი ქვეყანა.

საქართველომ კონვენციის რატიფიკაცია მოახდინა 1994 წელს, ხოლო პირველი ეროვნული შეტობინება მხარეთა კონფერენციაზე წარადგინა 1999 წელს. მას შემდეგ ქვეყნის მთავრობამ კიდევ ორი ეროვნული შეყობინება წარადგინა და ამ დროისათვის ამზადებს მეოთხე შეტყობინებას. მხარეთა კონფერენცია COP ყოველწლიურად მართავს შეხვედრებს, სადაც მონაწილეობენ მსოფლიო მთავრობები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვადასხვა ჯგუფები. COP-ზე ხდება დამატებით ახალი დოკუმენტაციისა თუ საერთაშორისო ხელშეკულებების მიღება, რომელიც მიმართულია კლიმატის ცვლილების შერბილებაზე და შეგუებაზე.

1992 წლიდან დღემდე კლიმატის ცვლილების საკითხებთან დაკავშირებით მსოფლიო დონეზე შემუშავდა არაერთი დოკუმენტი, თუ მიღებულია არაერთი შეთანხმება, რომლითაც ხელმომწერი ქვეყნები იღებენ თავიან წვლილ ვალდებულებებს შეამცირონ სათბურის გაზების ემისიები ატმოსფეროში.
კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის პროცესში, ბოლო დროის ერთერთი მნიშნელოვანი შეთანხმებაა პარიზის შეთანხმება, რომელიც 2015 წლის 12 დეკემბერს იქნა მიღებული პარიზში, კლიმატის ცვლილების მხარეთა 21-ე კონფერენციაზე (COP-21). რომელზე ხელმოწერითაც 195-მა ქვეყანამ პირველად აიღო ვალდებულება რომ, ეკონომიკური განვითარების პარალელურად:

- ✓ შეამცირებს კლიმატის ცვლილების გამომწვევი სათბურის გაზების გაფრქვევებს დაბალემისიიანი განვითარების გზით;
- ✓ შეინარჩუნებს გლობალური საშუალო ტემპერატურის ზრდის 2 გრადუს ცელსიუსამდე შეზღუდვას და ტემპერატურის ზრდის 1.5 გრადუს ცელსიუსამდე შეზღუდვის მცდელობას, პრეინდუსტრულ დონესთან შედარებით;
- ✓ განახორციელებს კლიმატის ცვლილების უარყოფით შედეგებთან შეგუების (ადაპტაციის) უნარის გაზრდას და კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგობის და სათბურის გაზების დაბალემისიიანი განვითარების უზრუნველყოფის ხელშეწყობას ისეთი გზით, რომელიც საფრთხეს არ შეუქმნის საკვების წარმოებას;

პარიზის შეთანხმება საშუალებას იძლევა, თანამედროვე ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების გამოყენებით დიდმა და პატარა, განვითარებულმა და განვითარებადმა ქვეყნებმა ერთობლივი ძალისხმევით ხელი შეუწყონ ჯანსაღ გარემოში ცხოვრებას, ენერგოუსაფრთხოებას, კონკურენტუნარიან წარმოებასა და მსოფლიოს მდგრად განვითარებას.
პარიზის შეთანხმება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ პროცესებში ერთერთი მნიშვნელოვანი შეთანმებაა, მასზე მიერთებით საქართველომ მიზანად დაისახა ხელი შეუწყოს ენერგეტიკის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ნარჩენების მართვის სექტორებში თანამედროვე კლიმატ-გონივრული ტექნო-ლოგიების დანერგვას, მდინარეების კალაპოტებსა თუ შავი ზღვის სანაპირო ზოლში ნაპირდაცვითი ღონისძიებების განხორციელებას, მაღალმთიან რეგიონებში წყალმოვარდნებისა და ღვარცოფების რისკის შემცირებას, აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლას და მაღალი რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის დაცვას.

პარიზის შეთანხმება თითოეულ მხარე ქვეყანას ავალდებულებს, უზრუნველყონ თანმიმდევრული, ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილების NDC მომზადება, შეტყობინება და წარმოება, რომლის მიღწევასაც აპირებს. მხარეები ასეთი წვლილის მიზნების მისაღწევად განახორციელებენ შერბილების შიდა ღონისძიებებს.
საქართველო, პარიზის შეთანხმებას 2017 წელს, 8 მაისს ოფიციალურად შეუერთდა და ის ძალაში შევიდა იმავე წლის 7 ივნისიდან.

ეროვნულად განსაზღვრული წვლილი (NDC)

ეროვნულად განსაზღვრული წვლილი (NDC), ასახავს ქვეყნების მიერ სათბური გაზების გაფრქვევის შემცირებაზე აღებულ ვალდებულებებს. თითოეული ქვეყნის სამოქმედო გეგმამ უნდა ასახოს საკუთარი ქვეყნის ამბიცია, სათბური გაზების ემისიების შესამცირებლად, ქვეყნის შიდა გარემოებებისა და შესაძ-ლებლობების გათვალისწინებით.
თითოეული ქვეყნის ეროვნულ დონეზე განსაზღვრულ მომდევნო წვლილში უნდა აისახოს პროგრესი უკვე არსებულ ეროვნულ დონეზე განსაზღვრულ წვლილთან შედარებით. ასევე უნდა უზრუნველყოს საკუთარი ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის შეტყობინება და ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ წარუდგინოს კლიმატის კონვენციის სამდივნოს.
2015 წლის 28 სექტემბერს საქართველომ კლიმატის კონვენციის სამდივნოში წარდგინა "ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილი" INDC. მხარეთა 21–ე კონფერენციის დაწყებამდე (ანუ პარიზის შეთანხმების მიღებამდე). აღნიშნული დოკუმენტით აიღო ვალდებულება, 2030 წლამდე 15%-ით შეამციროს სათბურის გაზების ემისია იმ სცენართან შედარებით, როცა ქვეყანაში არანაირ შემარბილებელ ღონის-ძიებებს არ გაატარებდა. დოკუმენტი ითვალისწინებს იმასაც, რომ თუ კი ქვეყანა მიიღებს ფინანსურ დახმარებას ან ტექნოლოგიებს კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ ღონისძებების გასატარებლად, 15%-ის ნაცვლად სათბური გაზების ემისიებს 25%-ით შეამცირებს.
ამ ეტაპისთვის, საქართველო ამზადებს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტის განახლებულ ვარიანტს (NDC), რომელიც კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციის სამდივნოში უნდა გაიგზავნოს 2020 წლის პირველ ნახევარში.

კლიმატის ცვლილება დღეს

დღეს, კლიმატის ცვლილების თანამედროვე გამოწვევების მიჯნაზე, მნიშვნელოვნად იკვეთება საზოგადოების როლი კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის პროცესში, რომ არაფერი ვთაქვათ სახელმწიფოს როლსა და პასუხისმგებლობაზე ეფექტური ღონისძიებების გასატარებლად.

მსოფლიოს მრავალი სხვა ქვეყანა, მათ შორის საქართველოც, რეალურად დგას კლიმატის მიმდინარე ცვლილების შედეგების სერიოზული ანალიზისა და საკუთარი განვითარების გეგმებში სათანადო ცვლილებების შეტანის აუცილებლობის წინაშე. რაც საკმაოდ შრომატევადი საქმეა, რომელიც მოითხოვს ეფექტური სტრატეგიის შემუშავებასა და ეტაპობრივ განხორციელებას. ასევე ძალზედ დიდია გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების როლი კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის პროცესში, რადგან მათ გააჩნიათ როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის, ასევე სახელ-მწიფოსთან თანამშრომლობის დიდი გაცდილება.

გიორგი არჩუაშვილის ფოტო

კლიმატის გლობალური ცვლილების პრობლემებზე აქტიურად მუშაობს საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო, რომელიც გერმანიის დედამიწის მეგობრებთან თანამშრომლობის (BUND) და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის გარემოს დაცვის, ბუნების კონსერვაციისა და ატომური ენერგეტიკის ფედერალური სამინისტროს მხარდაჭერილი პროექტის "სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება კლიმატის ეროვნული პოლიტიკის განხორციელებაში" ფარგლებში, აქტიურად მუშაობს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაზრდაზე კლიმატის ეროვნული პოლიტიკის შესამუშავებლად.

პროექტის მიზანია სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, რათა ქვეყნის ეროვნულად განსაზღვრული წვლილის (NDC) მომზადებისა და განხორციელებისას გათვალისწინებული იქნას საზოგადოების მოთხოვნები, უზრუნველყოფილი იქნას არსებული NDC-ების გაუმჯობესება, დროული განხორციელება და პროცესის გამჭირვალობა. პროექტის საწყის ეტაპზე ჩამოყალიბდა სამოქალაქო საზოგადოების პლატფორა, სადაც გაწევრიანებულები არიან კლიმატის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და ურბანისტიკის სფეროში მომუშავე ორგანიზაციები, რომლებიც ამ დრომდე აქტიურად თანამშრომლობენ ორგანიზაციასთან. პროექტის ფარგლებში მომზადდა ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი „საქართველოს კლიმატის ცვლილების ანალიზი“ და „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის (INDC) დოკუმენტისა და ამ დოკუმენტით აღებული ვალდებულებების ანალიზი“. პროექტის ფარგლებში აქტიურად გრძელდება მუშაობა კლიმატის ცვლილების საკითხებზე.

გიორგი არჩუაშვილის ფოტო

საქართველოს კლიმატის პოლიტიკის ანალიზი

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველომ პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება კლიმატის ეროვნული პოლიტიკის განხორციელებაში" ფარგლებში, (ავტ. ავთანდილ გელაძე), მოამზადდა დოკუმენტი „საქართველოს კლიმატის პოლიტიკის ანალიზი“, რომელშიც განხილულია ქვეყნის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოლიტიკა და მისი განხორციელების ეტაპები. მასში გაანალიზებულია პოლიტიკის საკანონმდებლო, სტრატეგიული დოკუმენტების და მისი ფინანსური უზრუნველყოფის ეფექტურობა. ხაზგასმულია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ვალდებულებების როლი საქართველოს კლიმატის პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. ანალიზში აღნიშნულია, რომ:

- საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებები ჯერ კიდევ არაა სათანადოდ ასახული ქვეყნის კანონმდებლობაში თუ სტრატეგიულ დოკუმენტებში, სუსტია კლიმატის ცვლილებაზე პასუხისმგებელი სამთავრობო ინსტიტუციები, მწირია სახელმწიფო დაფინანსება;
- კლიმატის ცვლილების საკითხები - მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ანგარიშების თუ კვლევების მომზადება დღევანდელ დღეს უფრო დონორების მართული პროცესია;

- საქართველოს დღემდე არ გააჩნია მოქმედების ერთიანი სისტემური სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილების საკითხებზე რეაგირების, მათ შორის საადაპტაციო თუ სამიტიგაციო გეგმების მომზადებას და დანერგვას (ამაჟად მიმდინარეობს მუშაობა კლიმატის სამოქმედო გეგმაზე CAP) და ა.შ.

ანალიზში მოცემულია საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები- საქართველოს ხედვა ქვეყანაში კლიმატის ცვლების საკითხებზე, განხილულია კლიმატის ცვლილების პოლიტიკის ძირითადი ხარვეზები და მოცემულია რეკომენდაციები მათი აღმოფხვრისათვის. ამონარიდები ანგარიშიდან:

1. საქართველოს კლიმატის ცვლილების სახელმწიფო პოლიტიკის SWOT ანალიზი

((SWOT-ი წარმოადგენს ინგლისურ აბრევიატური ერთობას, რომლის ყოველი ასო ანალიზის ცალკეულ ელემენტს აღნიშნავს: S — strengths (ორგანიზაციის ძლიერი მხარე); W — weakness (ორგანიზაციის სუსტი მხარე); O — opportunities (ორგანიზაციის შესაძლებლობები); T — threats (მოსალოდნელი საფრთხე). SWOT-ანალიზის გაკეთების დროს ხდება, ამა თუ იმ ორგანიზაციის თუ კონკრეტული სამუშო გეგმის ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე იმ შესაძლებლობებისა და საფრთხეების შეფასება, რომლის წინაშეც შეიძლება იდგეს ორგანიზაცია თუ კონკრეტული საკითხი).

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
• საქართველო მიერთებულია კლიმატთან დაკავშირებულ კონვენციებს და აღებული აქვს კონვენციებით გათვალისწინებული ვალდებულებები • საქართველო მონაწილეობს „გარემო და ჯანმრთელობა“ ევროპულ პროცესში • ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება, სადაც დიდი ყურადღება ეთმობა კლიმატის ცვლილებას • კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი ეროვნული კომუნიკაციები • ხელმისაწვდომობა კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო სხვადასხვა ფონდებზე • პირველი, მეორე და მესამე ეროვნული შეტყობინება • სათბური გაზების ინვენტარიზაციის ორწლიური ნაგარიშები • ეროვნული პროგრამები და სხვა სტრატეგიული დოკუმენტები • საერთაშორისო მხარდაჭერა	• სუსტი და არაამბიციური საკანონმდებლო ბაზა • საქართველოს კანონმდებლობისა აღსრულების დაბალი დონე • საქართველოს პარლამენტის მხრიდან სუსტი კონტროლი აღმასრულებელ ხელისუფლებაზე • კლიმატის ცვლილების პრობლემისადმი სისტემური მიდგომის არარსებობა მთავრობის დონეზე • სამეცნიერო კვლევების სიმცირე • კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის გამოცდილების ნაკლებობა • ადგილობრივი თვითმართველობების ნაკლები ჩართულობა კლიმატის ცვლილების პრობლემატიკაში • ქვეყნის მწირი ფინანსური შესაძლებლობები • ინფორმაციის და მონაცეთა ნაკლებობა • საზოგადოების არასაკმარისი გაცნობიერება და ჩართულობა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღებაში • საზოგადოების განათლების დაბალი დონე კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზემოქმედებისა ადამიანის ჯანმრთელობაზე და მასთან ბრძოლის მეთოდებზე

შესაძლებლობები	საფრთხეები
• ცვლილებები მთავრობის მოქმედებებში პრობლემასთან დაკავშირებით • საერთაშორისო ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა • დაინტერესებულ მხარეთა ერთობლივი, სინერგიული მოქმედებები • კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გამოცდილების გაღრმავება ადამიანის ჯანმრთელობისთვის რისკის შემცირებაში • კლიმატის ცვლილებასთან მოწყვლადობის ანგარიშების მომზადება ადგილობრივ დონეზე • საზოგადოების და თვით სსო-ს ცნობიერების ამაღლება • კლიმატის ცვლილების და ჯანმრთელობის პრობლემატიკის ჩართვა საგანმანათლებლო პროგრამებში • კლიმატის ცვლილების და ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებული ინსტიტუციების გაძლიერება • კლიმატის ცვლილების და ჯანმრთელობის პრობლემატიკის ჩართვა ქვეყნის განვითარების სტრატეგიებში და გეგმებში	• ფინანსური და სხვა რესურსების ნაკლებობა • არაადეკვატური კანონმდებლობა და პოლიტიკა • არაეფექტური ინსტიტუციები და მათ შორის სუსტი კავშირი • პოლიტიკოსების და მთავრობის სკეპტიკური დამოკიდებულება კლიმატის ცვლილების გავლენის მიმართ • ჯანმრთელობაზე კლიმატის ცვლილების გავლენის მნიშვნელობის გაგების ნაკლებობა ადგილობრივ თვითმართველობებში • კლიმატთან დაკავშირებული მონაცემების სიმწირე • სსო-ების ცუდი კოორდინაცია • უპირატესად დონორების მიერ მართული პროცესები და მათ შორის სუსტი კოორდინაცია • ჯანდაცვასთან და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ქვეყნის მიერ აღებულ ვალდებულებათა არშესრულება • კლიმატიის ცვლილებასთან ადაპტაციის და მისი ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა სიძვირე

2. საქართველოს კლიმატის ცვლილების პოლიტიკის ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები მათი აღმოფხვრისათვის

	ქვეყნის კლიმატის ცვლილების პოლიტიკის ძირითადი ხარვეზები	საფრთხეები
1	კონსტიტუციით დადგენილი ნორმები სრულად და სინერგიულად არ არის ასახული მათ პოლიტიკის განმსაზღვრელ კანონებში და ნორმატიულ აქტებში	საჭიროა შემდგომი მუშაობა კონსტიტუციის შესაბამისი მუხლების კანონმდებლობაში ასახვისთვის
2	არ ასებობს ერთიანი კანონმდებლობა თუ სტრატეგია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით, თუმცაღა ეს იყო კანონის ატმოსფერული ჰაერის დაცის შესახებ მოთხოვნა (ამოღებულია 2011 წელს)	საჭიროა აღნიშნული მუხლის აღდგენა ან ასახვა სხვა საკანონმდებლო აქტში

3	არ ამოქმედებულა რიგი მუხლებისა საქართველოს კანონისა გარემოს დაცვის შესახებ რომელთაც შეხება აქვთ კლიმატის ცვლილებასთან, კერძოდ: გარემოს დაცვის მოქმედებათა პროგრამების სავალდებულოება ადგილობრივ და უწყებრივ დონეზე (მუხლი 15) და მუხლი 17 ეკოლოგიური დაზღვევის შესახებ	შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების შემუშავება. კლიმატის ცვლილების ადამიანის საცხოვრისისა და ჯანმრთელობაზე სულ უფრო მეტი ზემოქმედების გამო განსაკუთრებული მნიშვნელობას იძენს ეკოლოგიური დაზღვევის შემოღება
4	ქვეყნის დარგობრივ თუ რეგიონალურ განვითარების გეგმებში და სტრატეგიებში კლიმატის ცვლილების საკითხები ფაქტიურად ასახული არ არის	გეგმების და სტრატეგიების შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს კლიმატურ პარამეტრებში არსებული და მოსალოდნელი ცვლილებები, მათი შესაძლო ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოზე. მათში ინტეგრირებული უნდა იქნეს კლიმატის ცვლილებისადმი საადაპტაციო და შემარბილებელი ღონისძიებები
5	საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებები მწირედ არის ასახული ქვეყნის კანონმდებლობაში	საქართველოს კანონმდებლობით საერთაშორისო ვალდებულებებს უპირატესი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად ამისა ეს ვალდებულებები არ არის გაწერილი ადგილობრივ კანონმდებლობაში, რაც აუცილებელია მათი აღსრულების მექანიზმების შემუშავებისთვის
6	კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საქართველოს კანონმდებლობის ხარვეზები ძირითადად განპირობებულია იმით, რომ საკანონმდებლო მუშაობა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით ბევრად ჩამორჩება ამ მხრივ საერთაშორისო დონეზე მიღებულ პრინციპებს და ვალდებულებებს	როგორც ავღნიშნეთ საერთაშორისო ვალდებულებები მწირედ არის ასახული ეროვნულ კანონმდებლობაში ამიტომ ეს ავტომატურად იწვევს ჩვენი პოლიტიკის ჩამორჩენას კლიმატის ცვლილებასთან მიმართებაში
7	მიუხედავად კლიმატის ცვლილების აშკარა ზემოქმედებისა სხვადასხვა სექტორების თუ რეგიონების ფუნქციონირებაზე ნაკლებია ამასთან დაკავშირებული საჭირო მეთოდოლოგიური და სახელმძღვანელო მასალები	დაგეგმარების სახელმძღვანელოების (მეთოდური მითითებების) შემუშავება სექტორების მიხედვით, რომელშიც მოცემული იქნება ტექნიკურ- ეკონომიკური ხასიათის საცნობარო მასალა დაგეგმარების პრაქტიკული მაგალითებით

8	საკმარისად არ არის გააზრებული, რომ კლიმატის ცვლილების გამომწვევ მიზეზებთან და მის გამოვლინებებთან ბრძოლას გააჩნია დადებითი მულტიეფექტები	განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ე.წ. „არა წამგებიანი“ (no regret ან win-win) საადაპტაციო ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, რომლებიც იქნებიან ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით სარგებლის მომტანი
9	დონორების დახმარებით მიმდინარეობს მრავალი პროექტის განხორციელება კლიმატის ცვლილების სფეროში თუმცა სუსტია კოორდინაცია დაინტერესებულ მხარეებს შორის, რაც ქმნის საქმიანობის პარალელიზმის საფრთხეს	ინფორმაციის გაცვლის მექანიზმის ჩამოყალიბება სპეციალური ვებ-პორტალის სახით (clearing house mechanism) მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სხვადასხვა პროექტების ფარგლებში კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შეფასების მიზნით განხორციელებული კვლევების შედეგად მიღებული მონაცემების ხელმისაწვდომობას და ინფორმაციის გაცვლას. აგვაცილებს კვლევების დუბლიკაციას
10	კლიმატის ცვლილების ექსტრემალური გამოვლინებების წინასწარი შეტყობინების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება	როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა (თბილისის 2015 წლის ივნისის მოვლენები) ასეთი სისტემა მოითხოვს გადაუდებელ სრულყოფას. საჭიროა ყველა შესაბამისი სტრუქტურის აღჭურვა თანამედროვე დიაგნოსტიკური, მონოტორინგის და ტექნიკური საშუალებებით
11	სამეცნიერო და საგანმათლებლო მუშაობა კლიმატის ცვლილების და მის ზემოქმედებაზე ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოზე არასაკმარისია და ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს	საჭიროა სამეცნიერო კვლევების დაფინანსება და საგანმანათლებლო პროგრამებში კლიმატის ცვლილების პრობლემატიკის ინტეგრირება

გამომდინარე აქედან, ქვყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ერთიანი, ეფექტური პოლიტიკის შემუშავება, რაც ქვეყანას სამწუხაროდ დღეს ფაქტიურად არ გააჩნია და ეს პოლიტიკა უფრო ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს.

აღნიშნული დოკუმენტის სრული ვერსია, შესაძლებელია იხილოთ საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს ვებ-გვერდზე www.greens.ge

პროექტით განხორციელებული ქმედებები

კონფერენცია - ქვეყნის ეროვნულად განსაზღვრული წვლილი (NDC) - საქართველოს გამოწვევები

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს ორგანიზებით, პროექტის "სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება ეროვნული კლიმატის პოლიტიკის განხორციელებაში" ფარგლებში, ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: "ქვეყნის ეროვნულად განსაზღვრული წვლილი (NDC) - საქართველოს გამოწვევები".
კონფერენციის მიზანი იყო საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებსა და საზოგადოებრივ სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავება ქვეყნის ამბიციური ეროვნულად განსაზღვრული წვლილის (NDC) და კლიმატის ცვლილების რეალისტური სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით. შეხვედრაზე წარმოდგენილი იქნა სამოქალაქო საზოგადოების ხედვა „ამბიციურ ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილზე (NDC)„ და ექსპერტთა შეფასებები საქართველოში სათბურის გაზების შემცირებასთან დაკავშირებით, რომელიც შეიმუშავა საქართველოს მწვანეთა მოძრაობამ სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმასთან „კლიმატის ეროვნული პოლიტიკისათვის" თანამშრომლობის ფარგლებში.
ასევე განხილული იქნა პარიზის ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები და სექტორების მიხედვით კლიმატის ცვლილების გამომწვევი სათბურის აირების გაფრქვევის შემცირების სავარაუდო ღონისძიებები და შესაბამისი ფინანსური მექანიზმები. ექსპერტების მიერ გაკეთდა მოხსენებები სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, ნარჩენების, ენერგეტიკის, ტყისა და მრეწველობის საკითხებზე.

ეროვნულად განსაზღვრული წვლილი (NDC), ასახავს ქვეყნების მიერ სათბური გაზების გაფრქვევის შემცირებაზე აღებულ ვალდებულებებს. აქედან გამომდინარე თითოეული ქვეყანა აკეთებს სამოქმედო გეგმას, რომელმაც უნდა ასახოს საკუთარი ქვეყნის ამბიცია სათბური გაზების ემისიების შესამცირებლად, ქვეყნის შიდა გარემოებებისა და შესძლებლობების გათვალისწინებით.

პარიზის შეთანხმება თითოეულ მხარე ქვეყანას ავალდებულებს, უზრუნველყონ თანმიმდევრული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილების (NDC) მომზადება, შეტყობინება და წარმოება რომლის მიღწევასაც აპირებს. საქართველომ კლიმატის ცვლილების კონვენციის სამდივნოში წარდგინა „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილი“ INDC. მხარეთა 21–ე კონფერენციის დაწყებამდე (ანუ პარიზის შეთანხმების მიღებამდე).

საქართველომ, ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის დოკუმენტით აიღო ვალდებულება, 2030 წლამდე 15%-ით შეამციროს სათბურის გაზების ემისია. დოკუმენტი ითვალისწინებს იმასაც, რომ თუ კი ქვეყანა მიიღებს ფინანსურ დახმარებას ან ტექნოლოგიებს კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ ღონისძებების გასატარებლად, 15%-ის ნაცვლად სათბური გაზების ემისიებს 25%-ით შეამცირებს.

ამ ეტაპისთვის, საქართველო ამზადებს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტის განახლებულ ვარიანტს (NDC), რომელიც კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციის სამდივნოში წარედგინება მომდევრო წლის პირველ ნახევარში.

კონფერენციაში მონაწილეობენ არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ფონდების წარმომადგნლები, უცხოელი და ქართველი ექსპერტები. მათ მიერ შემუშავდა რეზოლუცია, რომელიც სამომავლოდ წარედგინება საქართველოს მთავრობას.

ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის (INDC) დოკუმენტისა და ამ დოკუმენტით აღებული ვალდებულებების ანალიზი

პროექტის ფარგლებში საქართველოს მწვანეთა მოძარობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს მიერ მომზადდა ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის (INDC) დოკუმენტისა და ამ დოკუმენტით აღებული ვალდებულებების ანალიზი (ავტ. ა.გელაძე). აღნიშნულ დოკუმენტი წარმოადგენს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის (INDC) დოკუმენტის, სახელმწიფოს მიერ ამ დოკუმენტით აღებული ვალდებულებების ანალიზს და სამოქალაქო საზოგადოების ხედვას ამბიციურ ეროვნულ დონეზე განსაზღვრულ წვლილზე (NDC). აღნიშნული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის (INDC) დოკუმენტი კონცეპტუალური ხასიათის დოკუმენტია. ის ეფუძნება დაბალემისიიანი განვითარების სტრატეგიას, თუმცა უზრუნველყოფილი არ არის კონკრეტული სამოქმედო გეგმით.

ამონარიდი მომზადებული ხედვიდან:

რეკომენდაციები NDC პროცესში დაინტერესებულ პირთა, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი მთავრობის მონაწილეობის გაძლიერებისათვის.

საქართველოში, კლიმატის ცვლილების გამოწვევებთან დაკავშირებით არაერთი პროექტი ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივითა და ორგანიზებით, თუმცა ვერ ხერხდება მნიშვნელოვანი შედეგის მიწევა, რადგანაც მათი და სახელმწიფო სტუქტურების საქმიანობა არ არის კოორდინირებული.
ხშირ შემთხვევაში, აქტიური სამოქალაქო საზოგადოებისაგან განსხვავებით, ხელისუფლების პოზიციები პასიური და გაუბედავია, რაც ამცირების მათი თანამშრომლობის შესაძლებლობებს. სასურველი შედეგების მისაღწევად აუცილებლად მიგვაჩნია გაძლიერდეს თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის.
სახელმწიფო სტრუქტურებმა უარყონ „პრივილეგირებულ“ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პრაქტიკა და სამოქალაქო საზოგადოების ნებისმიერ წევრს მისცენ საშუალება აქტიურად ჩაერთოს კლიმატის ცვლილების გამოწვევებზე სახელმწიფო ვალდებულებებისა და გეგმების შემუშავების პროცესში, დაუბრკოლებლად განახორციელოს მონიტორინგი გადაწყვეტილებების რეალიზაციის პროცესზე;

ამ მიზნის მისაღწევად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

- მკვეთრად გაუმჯობესდეს კლიმატის ცვლილების საკითხებზე სახელმწიფოს გეგმებსა და აქტივობებზე საზოგადოების ინფორმირებისა და უკუკავშირის სისტემის ყველა რგოლი -ადრეული ეტაპიდან დაწყებული და შედეგების მონიტორინგით დამთავრებული;
- დაიხვეწოს და სრულყოფილი გახდეს სახელმწიფო სტრუქტურებისა და საზოგადოებრივი სექტორის უწყვეტი კომუნიკაციის სისტემა, ყურადღებისა და რეაგირების გარეშე არ დარჩეს სამოქალაქო საზოგადოების არცერთი მცდელობა - აქტიურად ჩაერთოს კლიმატის ცვლილების საკითხებში;
- სახელმწიფომ გადადგას ქმედითი ნაბიჯები რეგიონებში სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურების მხარდასაჭერად, რისთვისაც აქტიურად გამოიყენოს ყველა სახის საინფორმაციო საშუალება, განსაკუთრებით კი სატელევიზიო სივრცე, როგორც რეგიონებში ინფორმაციის მიწოდების ყველაზე ეფექტური საშუალება;
- გაფართოვდეს ინფორმაციის გავრცელების „დაიჯესტის“ ფორმატი და საზოგადოებას მიეწოდოს ინფორმაცია მათთვის გასაგებ ენაზე;
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მუნიციპალიტეტებსა და რეგიონებში ფორმალურად არსებული კლიმატის ცვლილების ოფიციალური სტრუქტურების გააქტიურებას, ცენტრალურმა ხელისუფლებამ აქტიურად გამოიყენოს მათი შესაძლებლობები, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ამ საქმეში რეგიონის მოსახლეობის ჩართვის შესაძლებლობებს;
- ხელისუფლებამ მეტი დრო და რესურსები დაუთმოს კონსტიტუციური ნორმის შესრულებას და საზოგადოებას სისტემატიურად მიაწოდოს სრული და ამომწურავი ინფორმაცია მათი საარსებო გარემოს მდგომარეობის, კლიმატის ცვლილებით უკვე გამოწვეული ნეგატიური შედეგებისა და მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ;

- მკვეთრად გაიზარდოს ამჟამინდელი მიზერული საბიუჯეტო დაფინანსება კლიმატის გლობალური ცვლილების საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების ფართო ფენების ცნობიერების ამაღლებისა და მათი ინფორმირებულობის გასაზრდელად;

* * *

პროექტის ფარგლებში განხორციელებული ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები

საუბრები კლიმატზე

დღეს, როდესაც თანამედროვე მსოფლიო აქტიურად საუბრობს კლიმატის ცვლილებაზე და ფიქრობს ამ პრობლემასთან გამკვლავების გზებზე, მოწოდებულია საზოგადოების აქტიურ ჩართვაზე კლიმატის ცვლილების შერბილების პროცესში და ინფორმაციულობის გაზრდაზე, მოსალოდნელი კლიმატის ცვლილების ნეგატიური პროცესების თავიდან ასარიდებლად, ძალზედ დიდი როლი აკისრია მედიას, როგორც ინფრომაციის გამტარს და მიმტანს საზოგადოებამდე.
„საუბრები კლიმატზე“ - ამ სახელწოდებით ჩატარდა შეხვედრა მისაქციელში მედიის წარმომადგენლებთან, რომლის მიზანიც იყო ჟურნალისტებს მისცემოდათ საშუალება დიალოგის ფორმატში ესაუბრათ კლიმატის ცვლილებაზე და მის თანმხლებ პროცესებზე.
შეხვედრის ფარგლებში პროექტში ჩართულმა ექსპერტებმა მიმოიხილეს კლიმატის ცვლილების ზოგადი ასპექტები. მათ შორის, ისაუბრეს კლიმატის ცვლილების გამოვლინებაზე მსოფლიოსა და საქართველოს მასშტაბით; შერბილებისა და ადაპტაციის ტექნოლოგიებზე გლობალურ და ლოკალურ დონეებზე; ადამიანის როლზე კლიმატის ცვლილების პროცესში და პირიქით - თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია კლიმატის ცვლილებას ადამიანზე; კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ რისკებზე, სახელმწიფოს ვალდებულებეზე და ა.შ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მედიის როლს საზოგადოების გაცნობიერების საქმეში.

შეხვედრის მონაწილე ჟურნალისტებმა ისაუბრეს იმ სირთულეებზე, რომლებსაც პირადად აწყდებიან გარემოსდაცვით საკითხებზე მუშაობის პროცესში. გამოხატეს დაინტერესება მეტი ინფორმაციის მიიღების კლიმატის ცვლილებისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების შესაძლო გზების შესახებ. აღინიშნა, რომ მსგავსი შინაარსის შეხვედრები შესაძლებლობას აძლევს მათ, კიდევ უფრო მეტი ინფორმაცია მიიღონ მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე კლიმატის ცვლილების პროცესებზე. ხაზი გაუსვეს COP-სა და მსგავს საერთაშორისო ღონისძიებებზე საქართველოდან ბევრი ჟურნალისტის მონაწილეობის აუცი-ლებლობაზე, კლიმატის ცვლილების და მასთან დაკავშირებული პროცესების სწორი წარმოჩენის და გაშუქების მიზნით.

ჟურნალისტები გამოვიდნენ ინიციატივით, ჩამოყალიბდეს შეხვედრების ციკლი სახელწოდებით- „საუბრები კლიმატზე“, რადგან თვლიან, რომ მსგავსი ტიპის შეხვედრები მათ საშულებას მისცემს გა-იღრმავონ ცოდნა და მიიღონ მეტი ინფორმაცია, როგორც კლიმატის ცვლილების პროცესებზე, ასევე გარემოს დაცვაზე.

შეხვედრის ბოლოს ჟურნალისტებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ საქართველოში განახლებადი ტექნო-ლოგიების დანერგვის პერსპექტივებსა და შესაძლებლობებს და ადგილზე დაეთვალიერებინათ მისაქ-ციელში არსებული განახლებადი ტექნოლოგიების საგამოფენო (მზის წყალგამაცხელებლები, ბიომასის დანადგარები, მზის PV პანელები) ცენტრი.

შეხვედრა ჩატარდა გერმანიის ფედერალური გარემოსდაცვითი ფონდის მხარდაჭერილი პროექტის „ენერგოეფექტურობის გაზრდა მზის ენერგოტექნოლოგიებისა და თბოიზოლაციის საშუალებით“ და პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება კლიმატის ეროვნული პოლიტიკის განხორცი-ელებაში" ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველოს მიერ, „გერმანიის დედამიწის მეგობრებთან“ (BUND) თანამშრომლობით და მხარდაჭე-რილია გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის გარემოს დაცვის, ბუნების კონსერვაციისა და ატომური ენერგეტიკის ფედერალური სამინისტროს მიერ.

კლიმატის კვირეული

კლიმატის კვირეული ერთერთი მნიშვნელოვანი კამპანიაა, რომელიც ჩატარდა პროექტის ფარგლებში მთელი ქვეყნის მასშატბით და რომელმაც გააერთიანა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები, მედიის წარმომადგენლები. აღსანიშნავია, რომ კვირეულის ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებებში განსაკუთრებული აქტივობით საჯარო სკოლების მოსწავლეები ჩაერთო. ღონისძიებები ჩატარდა თბილისში, ქუთაისში, ბოლნისში, მცხეთაში, ხონსა და თეთრიწყაროში. გაიმართა ვებინარი, რომელიც ორგანიზაებული იყო მწვანეთა მოძრაობის მიერ. რეგიონებში ჩატარდა მრავალი აქტივობა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების ორგანიზებით. გაიმართა აქცია პერფორმანსები კლიმატის ცვლილების თემაზე. მოეწყო ფილმების ჩვენება, ველო-მსვლელობა, ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით, ჩატარდა დასუფთავებისა და გამწვანების აქციები, შედგა შეხვედრები სტუდენტებთან, მოსწავლეებთან, მერების ხელმომწერი ქალაქების წარმომადგენლებთან. გაიმართა შეხვედრა თემაზე „კლიმატის ცვლილება - გამოწვევები ჯანმრთელობის სექტორში“. ასევე მოეწყო მოსწავლეების მიერ შესრულებული ნახატების გამოფენა, რომელიც ეხებოდა კლიმატის ცვლილებას, ჩაიწერა ინტერვიუები და მომზადდა გადაცემები და ა.შ.

კლიმატის კვირეულის ღონისძიებები მწვანეთა მოძრაობასთან თანამშრომლობის ფარგლებში განახორციელეს შემდეგმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა: ახალციხის საზოგადოებრივი განვითარების ცენტრი, ასოციაცია „დეა“, რადიო „ძველი ქალაქი“, იმერეთის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“, „მწვანე რეგიონები“, „თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრი“, ასოციაცია „სემა“, ენერგოეფექტურობის ცენტრი-საქართველო“, “ბოლნისის ენის სახლი“, „საერთაშორისო განვითარების სააგენტო“, „მსოფლიო გამოცდილება საქართველო“.

COP 25 – 2019 წლის გაეროს კლიმატის ცვლილების მხარეთა 25-ე კონფერენცია

2019 წლის დეკემბერში, ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში, ჩილეს მთავრობის თავმჯდომარეობით (ლოგისტიკური საკითხებში) და ესპანეთის მთავრობის ხელშეწყობით, ჩატარდა გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მხარეთა (COP-25) 25-ე შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდა 200-მდე ქვეყნის 23 000-მდე დელეგატი.

გაეროს კლიმატის ცვლილების მხარეთა 25-ე კონფერენცია მოიცავდა:

- მხარეთა კონფერენციის ოცდამეხუთე სესიას (COP 25);
- კიოტოს ოქმის მხარეთა კონფერენციის მეთხუთმეტე სესიას (CMP 15);
- პარიზის შეთანხმების მხარეთა კონფერენციის მეორე სესიას (CMA 2);
- სამეცნიერო და ტექნიკურ საკითხებში მრჩეველი დამხმარე ორგანოს (SBSTA 51) და განხორციელების დამხმარე ორგანოს (SBI 51) ორმოცდამეთერთმეტე სხდომებს.

წინასასესიო პერიოდი გრძელდებოდა 25 ნოემბერიდან 1 დეკემბრამდე.

კონფერენცია მიზნად ისახავდა გაეროს კლიმატის ცვლილების პროცესში მომდევნო გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმას. 2018 წელს პოლონეთში COP 24-ის ფარგლებში პარიზის შეთანხმების განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპებზე შეთანხმების შემდეგ. COP 25-ის ძირითადი ამოცანა იყო პარიზის შეთანხმების სრულად განხორციელებასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხის გადაწყვეტა. გარდა ამისა, კონფერენცია ემსახურებოდა ამბიციების გაზრდას 2020 წლისათვის, როცა, აღებული ვალდებულების თანახმად, ქვეყნებმა უნდა წარმოადგინონ ახალი და განახლებული კლიმატის ეროვნული სამოქმედო გეგმები.

შეხვედრამ მოიცვა ისეთი სფეროებიც, როგორიცაა ფინანსები, კლიმატის მოქმედების გამჭვირვალობა, ტყეები და სოფლის მეურნეობა, ტექნოლოგია, შესაძლებლობების გაძლიერება, ზარალი და დაზიანებები, მკვიდრი მოსახლეობა, ქალაქები, ოკეანეები და გენდერი.

კონფერენციის ფარგლებში გამართული ორკვირიანი ინტენსიური მოლაპარაკებები, დაგეგმილი 13 დეკემბრის ნაცვლად 15 დეკემბრს დასრულდა. სამიტის მიმდინარეობა გახანგრძლივდა, რადგან მდიდარმა ქვეყნებმა კატეგორიული უარი განაცხადეს ღარიბი ქვეყნების მოთხოვნების შესრულებაზე. მოთხოვნები კი ძირითადად ასე გამოიყურებოდა: გადაუდებელი ქმედებები კლიმატის ცვლილების შედეგად გამოწვეულ დანაკარგებთან საბრძოლველად, დამატებითი ფინანსების გამოყოფა და ემისიების შემცირების მიზნების ამბიციურობის გაზრდა.

სათბურის აირების შემცირების ინიციატივით გამოვიდნენ ევროკავშირის ქვეყნები, რაც მსხვილი ეკონომიკების წარმომადგენლებმა არ გაიზიარეს, ხოლო მეცნიერებმა მათი პოზიცია გააკრიტიკეს და განაცხადეს, რომ აუცილებელია ზომების დროულად მიღება და კლიმატის ცვლილებასთან ეფექტური ბრძოლა.

საბოლოოდ კონფერენციის მონაწილე ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ 2020 წლის ნოემბერში გლაზგოში შეხვდებიან ერთმანეთს, სადაც ახალ ვალდებულებებზე იმუშავებენ.

წყაროები:

- https://unfccc.int/cop25
- https://unfccc.int/news/cop25-kicks-off-with-calls-to-make-serious-progress-on-climate-action?fbclid=IwAR2yyGSMN12Pz2D-u6n_bEykkueZp0wVjwfGPYksXJgWXkakpDYUZKk8zhk
- https://actalliance.org/act-news/cop25-press-release-climate-summit-ends-with-disappointing-results/
- https://www.interpressnews.ge/ka/article/577540-madridshi-klimatis-cvlilebis-shesaxeb-msoplioshi-qvelaze-xangrzlivi-molaparakebebi-dasrulda/
- http://www.climatenetwork.org/press-release/civil-society-representatives-call-out-big-emitters-blocking-progress-un-climate-talks
- https://www.euractiv.de/section/energie-und-umwelt/news/cop25-nach-langem-nachsitzen-kaum-ergebnisse/



BAKER

ფოტომასალა მოძიებულია GOOGLE.COM ელექტრონული პლატფორმიდან

გამოცემა მომზადდა პროექტის “სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება ეროვნული კლიმატის პოლიტიკის განხორციელებაში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს“ მიერ, „დედამიწის მეგობრები გერმანია (BUND)„ თანამშრომლობით, „გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის გარემოს დაცვის, ბუნების კონსერვაციის და ბირთვული უსაფრთხოების ფედერალური სამინისტროს (BUM) მხარდაჭერით

პუბლიკაციის შინაარზე პასუხისმგებელია „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო“, მასში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული დონორთა მოსაზრებებად

რედაქტორი
ლელა ყაჭეიშვილი
დიზაინი
ცაცა ჟორდანია
გამოცემაზე მუშაობდნენ:
რუსუდან სიმონიძე, ავთანდილ გელაძე, ლელა ყაჭეიშვილი

თბილისი, სლავა მეტრეველის №4. 0112
ტელ: (+995 32) 2 30 62 21
ელ.ფოსტა: info@greens.ge
ვებ-გვერდი: www.greens.ge